ანატი თოფურიას პირველ ფონდი

287 Опись 1 108

Фонд 287 Опись 1 ед. хр 108

მოძღვარი: ვინ გვზრდიდა

...დიდი ნეტარებაა პირველი კლასის, ანბანის და ლექსების დასწავლის პირველი ეპიზოდების გახსენება. ახლანდელ ოჯახებსა და სახვაშვო ბაღებშიც ე. წ. ხანმაინო პერიოდი მოზარდებს ხშირად სკოლაში შესვლამდე აქვთ გაელილი. მაშინ ვისგან შეიძლებოდა ამ ცოდნის შეძენა? ჩემთანაც მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის ერთადერთი შვება უფროსი და-ძმების გამოცდილება უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში ჩემს წინამორბედ ოჯახური საქმიანობა დაწუხებული ჰქონდათ და მაინც და მაინც არც გამეტებით აკლავდნენ თავს წიგნს.

ჩვენი სახლი ამ დროისათვის ახალ სამოსახლოზე ოროთახიანი იყო. ერთი ოთახი კედლის შიდა კართი იყო შეერთებული ერთმანეთთან. ხაწოლის კარი ყოველთვის მიხურული იყო, რომ კვამლი არ შეხულიყო. ცეცხლი მიწის შუა ადგილას ენთო. კვამლი ზემოთ ადიოდა, სხვენზე იფანტებოდა და სახურავის ქვემოთ გარღვეულში გაწუობილი ლარტყები შავად იმურებოდა. კერიის თავზე, მხხვილი კუნძის გახწვრივ, ნაჯა ეკიდა. ორივე მხარეზე გრძელი კვლები ეწყო. ვახშმის შემდეგ, ტაბაკს რომ ახალგებდა დედა, კარდალს ჩამოკიდებდა ნაჯაზე და ხიმინდი ახარშებოდა. გადმოვიდოდნენ ბიძაშვილები, შემოუხხდებოდით ცეცხლს აქეთ-იქით და ლუბას დაწუებული ზღაპრის გაგრძელებას ეუხმენდით.

ეს იყო ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის მეგობრობის ისტორია, მათი უჩვეულო თავგადახავლები. ლუბა რუხთაველის ენით და რუხთაველის ხახელით კი არ ლაპარაკობდა, „ვეფხისტყაოსანი“ ხერთოდ არც ჰქონდა წაკითხული. იგი გადმოსცემდა სხვისგან გაგონილს და გაზეპირებულს და ამ შემთხვევაში მთხრობელის როლს ხაუკეთესოდ ახრულებდა.

რაოდენ უტები და ურცევი უნდა ყოფილიყო რვა ხაუკუნის წინათ პოეტის მიერ შექმნილი ნაწარმოების ფაბული, რომ მას მეგრულ ვარიანტშიც შეენარჩუნებინა თავისი ბიხლი და მშვენიერება.

ერთი რამ ცხადია; ლუბას მონათხრობში თითქმის მთლიანად წაშლილი იყო პოემის ლექხურმუხიკალური ხიმდიდრე, მისი აფორიზმების ფილოხოფიური ხიღრმე და ხრულიად გარკვევით იგრძნობოდა ზღაპრულობის ძირითადი ელემენტების — პაპერბოლიზაციისა და ფანტახტურობის ჯანუხაზღვრელი თარეში, რომელშიც იხახებოდა აზრის ხიბრძნე და უბრალოების ხიდიადე.

ცოდნის ახითი „მარაგით“ გავხდი 1923 წლის 1 ხექტემბერს ხოროჩჩონის შვიდწლიანი შრომითი სკოლის პირველი კლასის მოწაფის დარეკვა არც გამიგია, იმდენად ვიყავი გაბრუებული ერთად თავმოყრილი ბავშვების ერთობლიობით და ყიველ-მიველით, კარებთან ჟრუანტელი ხელში ახალგაზრდა ქალი იდგა მოღიმარი და მოციმციმე თვალებით. თავზე ხელს ახვლიდა ბავშვებს და ოთახისკენ ანიშნებდა. მეც მერგო ეს ბედნიერება. მეც ვიგრძენი მისი ხელის შიხიბი, ეს მოფერებას და ალერსს უფრო ჰგავდა, ვიდრე მოვალეობის ჩინოვნიკურ შხრულებას. არც ჩაცმულობით, არც შეხახედობით, ირთი ხიტყვით, არაფრით განვირჩეოდი ხხვისგან, ხამაგიეროდ ტანად ყველაზე პატარა ვჩანდი. სკოლაში მაშინ 7-8 ზოკჯერ 9 წლის ბავშვებსაც იღებდნენ. მე კი ექვსისა ვიყავი და ბუნებრივად — მორცხვიც და მორიდებულიც.

ჯალენტინა ძველაია! პირველო მასწავლებელო! გონებრივი წრთობის პირველ აკვანთან ხულის მანათებელო! ბედად მოვლინებულო!

ვანა არ ვიცი. ბაკლახო მაგიდასთან ახლოს, პირველ მერხზე რომ ვიჯექი, თუ ბოლოს, ბოლოდან მეხუთე? ეს ალბათ ხულ მეორეხარისხოვანი დეტალია. მთავარი ის არის, რომ ჯალენტინა ძველაია ჩემი პირველი მასწავლებელი გახდა. ეს ფაქტი ჩემთვის ბედისწერად იქცა. ეს ფაქტი ჩემთვის ბედნიერებად იქცა. ეს ფაქტი ჩემთვის ბედნიერებად იქცა. ეს ფაქტი ჩემთვის ბედნიერებ

სასიამოვნო ინტერვიუ

გრაფი ორ გაკვეთილად გაიყოფა). ყველა გაკვეთილს დართული აქვს სავარჯიშოები, წყაროები, დავალებები, რაც მოსწავლეებს კვლევითი მუშაობის ელემენტებს გააცნობს.

კორესპონდენტი: ბატონო ნოდარ, თქვენ, როგორც სახელმძღვანელოს ერთ-ერთი შემდგენელი და რედაქტორი, რა თქმა უნდა იცნობთ საგნის სახალხო პროგრამას. როგორ ფიქრობთ, თვითონ პროგრამა ხომ არ საჭიროებს გადახედვას?

ნოდარ ასათიანი: რა თქმა უნდა, პროგრამები უნდა გადაისინჯოს და მიესადაგოს სახელმძღვანელოს.

კორესპონდენტი: გამოცემის თვალსაზრისით სახელმძღვანელოში თითქმის ყველაფერი რიგზეა, წიგნი კარგადაა გაფორმებული. თქვენ, როგორც რედაქტორს, რაიმე პრეტენზია ხომ არა გაქვთ გამომცემლობის მიმართ?

ნოდარ ასათიანი: მადლიერებით უნდა აღვნიშნოთ გამომცემლობის მიერ გაწეული ის დიდი შრომა, რომელიც მათ გასწიეს წიგნის ტექნიკურად მაღალ დონეზე გამოცემისათვის. ჩვენგან საგანგებო მაღლობის ღირსნი არიან გამომცემლობის დირექტორი ბატონი ლუკა ხუნდაძე, რედაქტორი ხ. ჯანელიძე, მხატვრები—შ. ნოინარაძე და რ. მახარაძე. სასურველი იყო ფერადი ილუსტრაციები უფრო მაღალხარისხოვანი ყოფილიყო, მაგრამ ამის საშუალებას ჩვენი ტექნიკა ჯერ-ჯერობით არ იძლევა.

კორესპონდენტი: ქალბატონო მარიამ, ვხვდებოდით თქვენთან შეხვედრის შემთხვევით და მეტი, ახე ვთქვათ, ნახევრადნორმირებულ ეკსკურსს გავაკეთებთ დღევანდელობაში, რამდენ დღესაც იქმნება ისტორია. ჩვენ გვახსოვს თქვენი გამოსვლები რადიოთი, ტელევიზიით, გაზეთის ფურცლებზე ტრანს-კავკასიის რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით. ეს მეტად მწვავე და მტკივნეული პრობლემა საბედნიეროდ დადებითად გადაიჭრა. ხედავხართ კიდევ ხომ არაფერია ასეთი მტკივნეული პრობლემა ერის წინაშე?

მარიამ ლორთქიფანიძე: დღეს ასეთი მტკივნეული საკითხებია ხულონჰესისა და მინაძის წყალსაცავის პრობლემები ენგურსა და მტკვარზე. იქით სვანეთისა და აქეთ სამცხე-ჯავახეთის ნაწილი წყალმა უნდა დაფაროს. ეს საკითხი ფართო საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს. და, საერთოდ, ყველა ასეთი დიდი მშენებლობის საკითხები სპეციალისტების, მეცნიერების, ფართო საზოგადოებრიობისა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით უნდა წყდებოდეს.

დღეს მსოფლიოს საზოგადოებრიობის წინაშე დგას ეკოლოგიის (ბუნების დაცვის) პრობლემა. უნდა გავიგოთ, შევიგნოთ, რომ რაც დღემდე უმოწყალოდ ვებრძოდით ბუნებას, დღეს სამაგიეროს გვიზღავს იგი. დასავლეთ საქართველოს კლიმატის შლილებად შეცვალა ენგურის წყალსაცავმა. ამ რაკეტებმა, ათასი სახის თანამგზავრებმა, დახვრიტეს ატმოსფერო, რამაც ოზონის ეკრანის დარღვევა და კლიმატის შეცვლა გამოიწვია. ნურავინ ჩაგვითვლის კადნერებად და ისე ნუ გაგვგებს, თითქოს ტექნიკის პროგრესის წინააღმდეგნი ვიყოთ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, ჩვენ გვაბარია სიცოცხლე დედამიწაზე და სათუთად უნდა მოვეპყრათ მას. ბუნება, გარემო კი აუცილებელია სიცოცხლისათვის:

კორესპონდენტი: ამ ახალ სახელმძღვანელოს ესპრესად წა-

მძღვარებული აქვს ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა“.

დღეს ჩვენი ერი შეძლებს ამ სახელმძღვანელოთი დაიცვას თავისი ეროვნება, თავისი ვინაობა?

ნოდარ ასათიანი, მარიამ ლორთქიფანიძე: სახელმძღვანელოს შესავალშივე აქვს განსაზღვრული თავისი მნიშვნელობა: „...კარგად უნდა ვიცოდეთ ჩვენი მშობლიური რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის განვითარების გზა, მისი ტკივილები და სიხარული, უნდა ვგრძნობდეთ დიდ ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, როგორც მომავლის, ისე წარსულის წინაშე“.

წიგნს დამატების სახით დართული აქვს დიდი ქრთველი მოღვაწეებისა და ისტორიკოსების შეხედულებანი საქართველოს ისტორიაზე.

კორესპონდენტი: ისტორიის ამ ახალი სახელმძღვანელოს ხელმეორე გამოცემისათვის ხომ არ ფიქრობთ რაიმე ცვლილებების შეტანას ვახშე?

მარიამ ლორთქიფანიძე, ნოდარ ასათიანი: რა თქმა უნდა. პირველ რიგში გათვალისწინებული იქნება საქართველოს ისტორიის საათების გაზრდა და ამის შესაბამისად შეიცვლება წიგნის აგებულება. ამით საშუალება მოგვეცემა უფრო ფართოდ და მოსწავლეებისათვის საინტერესოდ გადმოვცეთ მასალა. სადღეისო მოთხოვნილებათა შესაბამისად, ადამიანის ფაქტორის წინ წამოწევის ნიშნით, წიგნში შევიტანთ ცნობილი ისტორიული პიროვნებების პორტრეტებსა და უფრო ვრცელ პიროვნულ დახასიათებებს. კიდევ უფრო გავაფართოებთ ამ წიგნში პირველად შეტანილ ხელოვნების ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების კონსტრუქციის თავისებურებები. ეს მოსწავლეებს გააცნობს არქიტექტურულ ტერმინოლოგიასა და ხელოვნების ისტორიის, როგორც მეცნიერების ელემენტებს.

როგორც ყველა წიგნი, ალბათ არც ეს წიგნი იქნება დაზღვეული კორექტურული შეცდომებისა თუ სხვა სახის გარკვეული უზუსტობებისაგან. ჩვენ, წიგნის ავტორები, სიამოვნებით და მადლობით მივიღებთ ყველა საქმიან შენიშვნას, ამავე დროს ჩვენი სურვილია პედაგოგებმა თავიანთი შენიშვნები და სურვილები გამოთქვან წიგნზე. ყოველივე ეს გათვალისწინებული იქნება ხელახალი გამოცემების დროს.

უკვე დაიწყო სახელმძღვანელოს საჯარო განხილვები, რაც ხელს შეუწყობს მის კიდევ უფრო სრულქმნას შემდგომი გამოცემებისათვის. უახლოეს ხანებში რესპუბლიკის მეთოდური ცენტრის მიერ დაგეგმილია დედაქალაქის მასწავლებელთა შეხვედრა სახელმძღვანელოს ავტორებთან მისი ერთობლივი, საჯარო განხილვის მიზნით. ისინი თავიანთ ობიექტურ, პირუთვნელ სიტყვას იტყვიან.

კორესპონდენტი: გვჯერა, რომ ჩვენი მომავალი თაობა დღეს უკეთ შეისწავლის ისტორიას თავისი ერისას, შეიგრძნობს მის ტკივილებსა და მიღწევებს, ...და შეიცნობს თავს. ჩვენ გვჯერა, რომ ამ საქმეში მას დაეხმარება თქვენს მიერ შედგენილი ახალი სახელმძღვანელო, რომელსაც, ვფიქრობთ, მოიწონებს ფართო მკითხველი ხალხოგადოებითობა, რამეთუ ვიცით, რომ „ხე ნაყოფითა ხეცნაურ არს“.

ანი ინტერვიუ

ვის ტკივილი, დამტრეულობის შეგრძნება.

გრიპის საუკვო ნიშნების გამოქვანებისთანავე საჭიროა ავადმყოფთან ბინაზე გამოვიძახოთ ექიმი (და, არავითარ შემთხვევაში ავადმყოფი არ უნდა წავიდეს პოლიკლინიკაში — ექიმთან). სავალდებულოა ავადმყოფის იზოლაცია ოჯახის სხვა წევრებისაგან. სასურველია, მას უვლიდეს ერთი პიროვნება, გამიყოს საკუთარი ჭურჭელი და სხვა საგნები, რომლებიც ხმარების შემდეგ უნდა გამოიხარშოს. ავადმყოფს განსაკუთრებით უნდა მოვარიდოთ ხანდაზმულები და ბავშვები. ავადმყოფის მომვლელმა უნდა ატაროს დოლბანდის ოთხშრიანი ნიღაბი, რომელიც ყოველ 4 საათში ერთხელ უნდა გაირეცხოს და გამოიხარშოს. ბინა რეგულარულად უნდა განიავდეს, დაიგავოს და დასუფთავდეს სველი წესით.

არ უნდა დაგვეიწყდეს, რომ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში და სკოლებში მთავარია გრიპით დაავადებულთა დროული გამოვლინება და იზოლაცია ჯანმრთელებისაგან. ცვლათა შორის გამჭოლი განიავება, ხოლო დასვენებებზე საკლასო ოთახების განიავება, ბუფეტებსა და კვების პლოკში იდეალური სანიტარიული წესრიგის დამყარება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჭურჭლის ხარისხიანად რეცხვას, აღსაზრდელთა და მოსწავლეთა პირადი ჰიგიენის წესების მკაცრად დაცვას.

მოკმე რესპუბლიკების გაზეთების ფურცლებზე

ლიტვის კომპარტიის ვილნიუსის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის

განცხადება

როდესაც ლიტვის ჯავშუფლების ლიგას ნება დაერთო მიტინგის ჩასატარებლად ათი იანვრისათვის ვილნიუსში, მთიან პარკში, მისი ორგანიზატორების ყურადღება გამახვილდა წესრიგის დაცვის აუცილებლობაზე შეკრებების, მიტინგების, ჭუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების ორგანიზაციის დროს.

მიუხედავად ამისა, მიტინგზე გამოსულები გამოხატავდნენ სოციალიზმის მიზნებისადმი მტრულ განწყობას, შეურაცხყოფდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელებს. ასეთ გამოხდომებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე ლიტვის თავისუფლების ლიგის აღრე მოწყობილ ღონისძიებებზეც.

ვაფასებთ რა ყოველივე ამას, ვაცხადებთ, რომ მსგავს მოქმედებას დეზორიენტაცია შეაქვს საზოგადოებაში, განხეთქილებას იწვევს მის ერთიანობაში და შემძლრავებას პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნის ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპზე.

მიტინგი მთიან პარკში

10 იანვარს ვილნიუსში, მთიან პარკში, დედაქალაქის სახალხო დეპუტატთა ლენინის რაიონის აღმასრულებელ კომიტეტის ნებართვით გაიმართა ლიტვის თავისუფლების ლიგის მიერ ორგანიზებული მიტინგი. მიტინგზე გააანალიზეს ეგრეთ წოდებული მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის ოქმები.

ამ მიტინგის გამო ლიტვის სსრ პროკურატურამ ლიტვის დეპუტატთა საბჭოს გადასცა შემდეგი განცხადება:

„ლიტვის სსრ კონსტიტუცია გარანტიას იძლევა თავისუფალი შეკრებების, მიტინგების და ჭუჩაში მსვლელობისათვის. მოქალაქეების მიერ უფლებებისა და თავისუფლების გამოყენებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, ადრეთვე, სხვა მოქალაქეების უფლებებს.

ამ კონსტიტუციური მოთხოვნების შესრულება არ მოინდომეს ლიტვის თავისუფლების ლიგის ხელმძღვანელებმა, მიტინგზე, რომელიც გაიმართა 10 იანვარს ვილნიუსის მთიან პარკში.

აქ გამოსული ორატორები ცილს წამებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს მშრნებლობას ლიტვაში. მოუწოდებდნენ ახალგაზრდობას, არ შეესრულებინათ კონსტიტუციური მოვალეობანი, რომელიც ეხება ნამდვილ სამხედრო სამსახურს. შეურაცხყოფდნენ რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებს.

ლიტვის სსრ პროკურატურა აკონსტატირებს, რომ მიტინგზე გამოსულ ორატორთა მსგავსი მტკიცებები მიუღებელია დემოკრატიისა და საჯაროობის გაგებასთან, ეწინააღმდეგება კონსტიტუციასა და კანონებს.

ვაცხადებთ, რომ მომავალში მსგავსი მოქმედებისთვის მივმართავთ კანონებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს“.

„სოვეტსკაია ლიტვა“,
1989 წლის 12 იანვარი (№ 10).